ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

44 (9934) • 21 noemberi • 2011 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

„ნატოში შესვლა არ იქნება შესაძლებელი, თუკი დემოკრატიული ინსტიტუტების შენება არ მოხდება ქვეყანაში“

შეხვედრა ბიძინა ივანიშვილთან

ნუგზარ ასათიანი

17 ნოემბერს, ქ. თბილისში, სოლოლაკში ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი საქართველოს რეგიონების ჟურნალისტებს შეხვდა. გურიიდან ამ შეხვედრაზე სამი მედიასაშუალება, გაზეთები „ალიონი,“„გურია ნიუსი“ და ტელეკომპანია „გურია“ იყო წარმოდგენილი. ბიზნესმენმა აღნიშნა მედიის, განსაკუთრებით რეგიონული მედიის როლი ქვეყნის განვითარების საქმეში. შეხვედრაზე ყველა ჟურნალისტს მიეცა კითხვის დასმის საშუალება. ბიძინა ივანიშვილი გურიის პრობლემებსაც შეეხო, ამასთანავე თქვა, რომ იგი მოსწავლეობის პერიოდში, ზაფხულში, მამასთან ერთად, ქ. ოზურგეთში, ცენტრალური უნივერმაღის მშენებლობაზე მუშაობდა. ბიზნესმენმა შავიზღვისპირეთში განხორციელებულ ინვესტიციებზეც ისაუბრა. ჟურნალისტებმა არაერთი მნიშვნელოვანი კითხვა დასვეს, შეხვედრა საინტერესო გამოდგა და თითქმის ორსაათნახევარი გაგრძელდა.

–მე კარგად ვაცნობიერებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ შეხვედრას, დაძაბული რეჟიმის გამო, თქვენთან შეხვედრა ცალკე ვერ მოვახერხე. ვიცი როგორი წნეხის ქვეშ არიან ჟურნალისტები რეგიონებში, როგორ მუშაობენ ადგილობრივი ორგანოები ჟურნალისტების გადაბირებაზე. ჩვენ ვეცდებით, კანონის ფარგლებში ჟურნალისტებს გვერდით დავუდგეთ, ხელისუფლებას არ უნდა მივცეთ მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევის საშუალება–აღნიშნა მან.

გაზეთების „გურია ნიუსის,“ „სპექტრის,“ მაუწყებელთა ასოციაციის კითხვებზე სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებზე ბიზნესმენმა აღნიშნა, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული თემა, ამიტომ პირველ ეტაპზე საქართველოში მისი სუბსიდირება იქნება აუცილებელი, რათა გლეხი წელგამართული იყოს. მე ამ ხელისუფლებას შევთავაზე სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ფერმერების დასახმარებლად ერთი მილიარდი ლარი გამომეყო. ჩემს წინადადებას მხარდაჭერა არ მოჰყოლია.

დღეს ყველა სოფელი ერთნაირად არის გაჭირვებული. აუცილებლად უნდა მოხდეს საფინანსო წყაროების გაჩენა. კრედიტები ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა გაიღოს. ბანკებიც უნდა იყვნენ დაინტერესებული, სესხი შეღავათიანი პროცენტით გასცენ. გლეხებს ახალ-ახალი კულტურების შემოტანაში, სახორცე და საშენი პირუტყვის შერჩევაშიც სჭირდებათ დახმარება. უნდა შეიქმნას სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნები, რათა გლეხმა ჭირნახული დააბინაოს. გლეხი მიწას უნდა დაუბრუნდეს. დღეს სოფელი შიგა ბაზარსაც ვერ აკმაყოფილებს, ამიტომ უხარისხო პროდუქცია შემოდის საზღვარგარეთიდან. ეს კი ბაზრის მოთხოვნილების 70 პროცენტია. ეს პროცესი შესაცვლელია და უცხოეთის ბაზარზე უნდა გავიდეს ქართული ნაწარმი. ბიზნესმენმა მეღვინეობის განვითარებაზეც ისაუბრა.

ივანიშვილი სოფლის განვითარების საქმეში ადგილობრივი თვითმმართველობის გამყარებას მიიჩნევს ყველაზე მნიშვნელოვნად, ამიტომ ქვეყნის დეცენტრალიზაციაა საჭირო. საქართველოში ადრე არსებობდა 1000 მუნიციპალიტეტი, ახლა კი 59 რაიონი გვაქვს, რაც ძალიან ცოტაა. ადამიანებს ელემენტარული საქმისთვის ძალიან შორს უწევთ სიარული და თანაც, ეს რაიონები მაინც ცენტრალიზებულად იმართება. ახლა მუშაობს ექსპერტთა ჯგუფი, რათა დაადგინოს, რამდენი რაიონი იქნება საქართველოსათვის ოპტიმალური. თითო მუნიციპალიტეტში 10-15 ათასი ადამიანი უნდა ცხოვრობდეს. ამ გათვლებით, საქართველოში 350 მუნიციპალიტეტი იქნება.

გვ-2

ილია მეორე: პატრიარქებმა მშვიდობისა და კეთილდღეობის აღსადგენად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ

ჩვენ, პატრიარქებმა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მშვიდობა და კეთილდღეობა აღსდგეს. ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ რუსეთის პატრიარქ, კირილთან შეხვედრისას განაცხადა.

„ის კონფლიქტი, რომელიც ჩვენს სახელმწიფოებს შორის იყო და ახლაც არის ღია ჭრილობებია, რომელიც აუცილებლად უნდა მოვაშუშოთ. დარწმუნებული ვარ ამას მოვახერხებთ", - ბრძანა ილია მეორემ.

ილია მეორე და კირილი ერთმანეთს მაცხოვრის ტაძარში შეხვდნენ. სასულიერო პირებმა ქვეყნებს შორის არსებული პრობლემების მოგვარების აუცილებლობაზე ისაუბრეს. ილია მეორე მოსკოვში 18 ნოემბერს გაემგზავრა. ის მონაწილეობას იღებს რუსეთის პატრიარქის 65-წლის იუბილისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. უწმინდესი მოსკოვში მცხოვრებ ქართველებთან და აფხაზებთანაც გეგმავს შეხვედრას. 23 ნოემბერს კი მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ილია მეორე წირვას აღავლენს.

GHN.GE

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე

ნინო ნიკოლაიშვილი

გასული კვირის პარასკევს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული სამი საკითხი წარმოადგინეს.

საკითხებზე, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების და 2010 წლის 29 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას შეეხებოდა, ალეკო მამეშვილმა და ლია ქათამიძემ ისაუბრეს.

დამატებითი საკითხი, ქარსაფარ ზოლში არსებული დაზიანებული და გამხმარი მწვანე ნარგავების მუნიციპალიტეტის ბალანსზე აყვანის შესახებ, რათა მოხდეს მისი ჭრა და შესაბამისად გამოყენება, შუქრი გაბრიჩიძემ წარმოადგინა. მანვე აღნიშნა, რომ მოჭრილი ხეების ადგილას აუცილებლად უნდა დაირგოს ახალი ნარგავები. ასკანის დეპუტატმა ლევან ნინიძემ ახალი ინიციატივა შესთავაზა დეპუტატებს, „ჩვენ დღეს ვართ დეპუტატები და რამდენიმე წლის შემდეგ აღარ ვიქნებით (მის ამ სიტყვებს დარბაზში ჩუმი ღიმილი და გადასაუბრებები მოჰყვა). სადმე გამოიყოს ტერიტორია და ჩვენი ხარჯებით გავაშენოთ ხეივანი, რომ ჩვენს სახელზე დარჩეს. იდეას საკრებულოს თავმჯდომარემაც დაუჭირა მხარი. დანარჩენ დეპუტატთა წინადადებების განხილვა ბიუჯეტის საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შემდეგ გადაიდო.

ფინანსური პრობლემების გამო ტელეკომპანია "პირველი სტერეო" მაუწყებლობას წყვეტს.

"1 დეკემბრიდან ტელეკომპანია იძულებული ხდება საქართველოში შეწყვიტოს მაუწყებლობა ფინანსური პრობლემების გამო. ამის მიზეზი გახდა "ტელეცენტრი"-ს მოთხოვნით, აღმასრულებლის მიერ კომპანიის ანგარიშის დაყადაღება მომსახურეობის დავალიანების ამოღების მიზნით. "ტელეცენტრი"-ს მიიმართ ტელეკომპანიის დავალიანება წარმოდგენილია 2008 წლის ომის შემდგომ და შეიცავს როგორც საჯარიმო დანარიცხებს, ასევე ომის დღეებში ვითომდა გაწეული მომსახურეობის საფასურსაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გადაცემები გორში და რამოდემინე სხვა ობიექტზე დარბეულ იქნა და მაუწყებლობა ვერ ხორციელდებოდა. ტელეკომპანიის სარეკლამო შემოსავლები დღეისათვის ვერ უზრუნველყოფენ ამ მოცულობის დავალიანების დაფარვას, ხოლო დაყადაღებული ანგარიში შეუძლებელს ხდის კომპანიის ფუნქციონირებას" - აღნიშნულია ტელეკომპანიის განცხადებაში.

ტელეკომპანია "პირველი სტერეო" (პირველი 24 საათიანი სტერეოფონული მაუწყებლობა) ეთერშია 1997 წლის სექტემბრიდან. ტელეკომპანიის ეთერი ამჟამად მხოლოდ სარეკლამო ვიდეორგოლებს აქვთ დათმობილი.

GHN.GE

„ნატოში შესვლა არ იქნება შესაძლებელი, თუკი დემოკრატიული ინსტიტუტების შენება არ მოხდება ქვეყანაში“

შეხვედრა ბიძინა ივანიშვილთან

უნდა ვიბრძოლოთ, რომ ტრანსფერები ნაკლები ოყოს.

ძალიან საინტერესო იყო ბიძინა ივანიშვილის კომენტარი საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე,

–„ბატონი რასმუსენის გამოსვლა არასწორად თარგმნეს. მისი მხრიდან ითქვა, რომ მეტი განვითარებაა საჭირო. ამათ კი გვითარგმნეს, ძალიან არის განვითარებულიო. ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ნატოს არ აქვს ალტერნატივა, ამას ვაფიქსირებ. მჯერა, რომ უახლოეს მომავალში შეეძლებთ ნატოში შესვლას, მაგრამ დემოკრატიის განვითარებაა მისი მთავარი მოთხოვნა. რასმუსენმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იქნება, თუ როგორ ჩატარდება 2012 წლის არჩევნები. ნატოში შესვლა არ იქნება შესაძლებელი, თუკი დემოკრატიული ინსტიტუტების შენება არ მოხდება ქვეყანაში“.

ბიზნესმენმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა მთავარ მოკავშირედ ორი პარტია. ესენი „თავისუფალი დემოკრატები“ და რესპუბლიკელები არიან.

ნინო ბურჯანაძისაგან კი, მის მიერ არჩეული ბრძოლის მეთოდების შეცვლას ითხოვს. ხელისუფლებაში მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების გზით–აცხადებს ივანიშვილი.

გაზეთ „ალიონის“ კითხვაზე, თუ როგორ ფიქრობს იგი პარტიულ მშენებლობას, როგორ ჩამოყალიბდება რეგიონული სტრუქტურები, რა პრინციპით მოხდება პარტიის წევრების შერჩევა, უპასუხა, რომ მიუხედავად იმისა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, მისი პარტია მაინც ჩამოყალიბდება, რეგიონებშიც შეიქმნება შესაბამისი სტრუქტურები, პარტიაში მიიღებენ ძველსაც და ახალ სახეებსაც.

ივანიშვილი ხელისუფლებაში მისვლას 90 %-იანი ალბათობით ფიქრობს და 75 პროცენტს პლუს ერთი დეპუტატით მისვლას პარლამენტში.

„ალიონის“ მეორე კითხვა გურიაში განხორციელებულ ინვესტიციებს ეხებოდა, მან ისაუბრა მის მიერ გურიაში განხორციებულ პროექტებზე და აღნიშნა, რომ იცის გურიის პრობლემები, რომლის გადაჭრა აუცილებელია რეგიონის განვითარებისათვის.აქვე თქვა, აუცილებლად უნდა შეაკეთოს სპეციალური თვითმფრინავი, რათა მომავალში უფრო ეფექტური გახდეს ბრძოლა მცენარეული მავნებლების წინააღმდეგ.

ბიძინა ივანიშვილთან პრესკონფერენციას რეგიონების 40-მდე ჟურნალისტი ესწრებოდა

„ძალიან კარგი ბავშვები არიან, ბრწყინვალე ვოკალური მონაცემებით“

მარი კოძოევი

ფოლკლორულმა ანსამბლმა „აბჯარმა“ სპეციალურად, ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის ბენეფიციარებისა და თანამშრომლებისათვის კონცერტი გამართეს. ღონისძიება მომღერლებისვე ინიციატივით, ასოციაციის ოფისში 18 ნოემბერს ჩატარდა. „აბჯარის“ წევრთა სიმღერებმა, როგორც ყოველთვის, მაყურებლის მოწონება დაიმსახურა. ამას მასპინძელთა ოვაციები და აპლოდისმენტები ადასტურებდა. სტუმრების გამოსვლის შემდეგ, სიმღერები საზოგადოებისთვის კარგად ცნობილმა „მომღერლებმა“ შეასრულეს, მათ სტუმრებიც აჰყვნენ. რაც შეეხება „აბჯარს“, ანსამბლი 2006 წელს ჩამოყალიბდა. 2010 წლიდან მას სათავეში ჯემალ ჭელიძე ჩაუდგა. ანსამბლში 10 მომღერალია, მათ შორის ერთი ქალბატონი როზა დოლიძე. ანსამბლის წევრები ყოველთვის აქტიურად მუშაობენ, ხშირად აახლებენ რეპერტუარს, ბოლო ხანს ახალი მუსიკალური ინსტრუმენტები შეიძინეს, თუმცა მწვავედ დგას ანსამბლის დაფინანსების საკითხი და მომავალი 2012 წლის ბიუჯეტის განხილვისას ეს თემა უნდა განიხილონ.

„– დიდი ხანია გვინდოდა ამ ბავშვებთან მოვსულიყავით და ერთობლივი ღონისძიება მოგვეწყო. ამჯერად ერთობლივი არ გამოვიდა, მაგრამ იმედია, სურვილს მომავალში განვახორციელებთ. ძალიან კარგი ბავშვები არიან, ბრწყინვალე ვოკალური მონაცემებით.აქედან ყველანი თბილი განწყობით მივდივართ.“ გვითხრა ანსამბლის ხელმძღვანელმა ჯემალ ჭელიძემ.

გურიის თავისუფალი დემოკრატების მიმართვა !



მიზანშეწონილად ვთვლი და მინდა მოსახლეობას ვამცნო ხელისუფლების მორიგი უზნეო საქციელის შესახებ. არაერთხელ გვითქვამს, რომ სასოწარკვეთაში ჩავარდნილმა ნაციონალურმა მოძრაობამ გამოაცხადა საინფორმაციო ომი, რეალური, ალტერნატიული ძალისა და მათი ლიდერების მიმართ. სარგებლობენ რა მათ დაქვემდებარებაში მყოფი საინფორმაციო საშუალებებით, ვირტუალური და არარეალური ინფორმაციებით შეცდომაში შეჰყავთ მოსახლეობა.

ამჯერად დარტყმის ობიექტს, როგორც ბიძინა ივანიშვილი, ასევე ირაკლი ალასანია წარმოადგენს. ხელისუფლებამ იმ ზღვარსაც კი მიაღწია, რომ ეს ინფორმაციები სასაცილო გახდა მთელი მოსახლეობისათვის.

აღსანიშნავია, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტები, როგორიცაა ბატონი ბ. ივანიშვილის სტუმრობა პატრიარქთან და პატრიარქის პოზიცია მის მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით, სახელისუფლებო ტელევიზიების მიერ უმნიშვნელოდ იქნა გაჟღერებული. ასევე არ გამახვილდა ყურადღება აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის შეფასებაზე, საკაშვილისა და 2008 წლის ომთან მიმართებაში,რაზეც საკმაოდ ვრცლად წერს ქ-ნი კონდოლიზა რაისი თავის მემუარებში.

სამაგიეროდ, მრავალ, ძალზედ მრავალფეროვან, გამოგონილ სიუჟეტებს უძღვნიან ბ-ნ ირაკლი ალსანიას, რითაც ცდილობენ მოსახლეობის დეზინფორმირებას, მართლაც რომ ყბადაღებული თემებით. მაგრამ ხელისუფლება ერთს ვერ ითვალისწინებს, რომ ჩვენმა მოსახლეობამ ყველაფერი ძალიან კარგად გააანალიზა. მათში შიშის სინდრომი თანდათან გატყდა, ისე როგორც ირღვევა საკაშვილის ვითომ მონოლითური პოლიტიკური გუნდი.

ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატები" მივმართავთ მოსახლეობას და ვაცხადებთ, რომ პროცესი მართლაც შეუქცევადია. მხარდაჭერა და მოლოდინი ძალზედ დიდია, როგორც საქართველოს მოსახლეობაში, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ჩვენ, ჩვენი ერთიანი ძალისხმევით აუცილებლად ავიხდენთ ქართულ ოცნებას.

თემურ სალუქვაძე

„თავისუფალი დემოკრატების“ გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარე

სტუმრებმა ოზურგეთის განახლებული საჭადრაკო კლუბი მოიწონეს

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში, რომლის რეაბილიტაცია ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის „მუნიციპალური განვითარება გურიაში“ მეშვეობით ახლახან დამთავრდა, პროექტის კოორდინატორებმა ბიორნ რონვეგარმა (ნორვეგიის თვითმმართველობის ასოციაციის უფროსი მრჩეველი), ოლივერ ტერეინმა (ევროსაბჭოს დემოკრატიის დირექტორის მოადგილე) ადგილზე დაათვალიერეს შესრულებული სამუშაოები და განახლებული კლუბი მოიწონეს.

პროექტი განხორციელდა „ნორვეგიის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა ასოციაციის“, „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის“ და ევროსაბჭოს მიერ. მოწესრიგებული გარემო, ახალი საჭადრაკო მოწყობილობა და ინვენტარი კლუბის აღსაზრდელებისათვის (აქ სწავლობს 14დან 16 წლამდე ასაკის 42 ბავშვი), კარგი საჩუქარია. გურიის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ ანდღულაძემ სტუმრებს წარუდგინა 10 წლის მიშიკო ქურიძე და 8 წლის თორნიკე მახარაძე, რომლებიც წარმატებით გამოდიან ასაკობრივ თუ რეგიონალურ ჩემპიონატებში.

შეხვედრაზე ისაუბრეს კლუბის მომავალ სამუშაო გეგმებზე, რომელიც ხელს შეუწყობს ჭადრაკის განვითარებას რეგიონში. აქვე აღინიშნა, რომ ლანჩხუთსა და ჩოხატაურში ჯერ-ჯერობით არ გააჩნიათ ოფისი, სადაც შესაძლებელი იქნება ჭადრაკის სკოლის დაარსება. თუმცა მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ რეგიონის მორიგი, XI საჭადრაკო ჩემპიონატი პირველად ჩატარდება ჩოჰხატაურის მუნიციპალიტეტში.

ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა შანიძე სტუმრებს პროექტის მნიშვნელობასა და მომავალი შედეგების შესახებ ესაუბრა. „ბავშვებმა უნდა ისწავლონ, როგორ გადადგან ნაბიჯი 2-3 წლის შემდეგ. რასაც გამოიყენებენ სკოლაში სწავლისას, თუ მომავალ ცხოვრებაში.“

ღვაწლმოსილ პედაგოგებთან შეხვედრა

გასულ პარასკევს, რესტორან „ქალაქურში,“შეხვედრა გაიმართა ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგებთან.

ნუგზარ ოთარიშვილი

გურიის რეგიონის ამ უძველეს სკოლას, რომლის ისტორია თითქმის 165 წელს მოიცავს, ყოველთვის ამშვენებდა კვალიფიციური და პროფესიონალი კადრები. პედაგოგთა იმ ჩამონათვალში, რომლებიც ამ დღის შეხვედრის ადრესატები იყვნენ, გასული საუკუნის 60, 70-იანი წლებიდან მოყოლებული არაერთი თაობა ჰყავთ აღზრდილი და დაფრთიანებული.

შეხვედრის ადრესატებიდან ზოგმა ვერც კი შეძლო შეხვედრაზე მოსვლა, თუმცა რედაქცია თავს ვალდებულად თვლის ეს სია სრულად წარმოგიდგინოთ: **ელეონორა ფიტაიშვილი, ოქტომბრინა გოგუაძე, ნუნუ კუნჭულია, ანა ბერძენიშვილი, ციური მექვაბიშვილი, სვეტლანა გაბუნია, სვეტლანა გორგოშიძე, ცაზი სვანიძე, დოდო გირკელიძე, ლიანა გარაჟანიძე, ზენადი გოგოლაშვილი, ნანი გოგუაძე, ალმა ბუზიაშვილი, ცისანა მენაბდე, ცირა დოლიძე, ლუბა კილურაძე, მარცელინა კონტრიძე, მერი ლომთათიძე.**

ამ დღეს, №1 საჯარო სკოლის ორ პედაგოგს ნინო მენაბდეს და ჯემალ ჭელიძეს დაბადების დღე ჰქონდათ და განსაკუთრებული მილოცვის ადრესატებიც გახდნენ.

საინტერესოდ მიჰყავდა საღამო პედაგოგ ვენერა არობელიძეს, იზა ბურჭულაძეს, ლელა მეგრელიშვილს.

„მასწავლებლები არ ბერდებიან აღზრდილების სულში და თვალში“—ამ შინაარსის იყო ნანი სალუქვაძის სადამრიგებლო, I კლასელთა მილოცვა.

ღვაწლმოსილ პედაგოგებს მიესალმნენ გურიის გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილი, გამგებელი ილო ვაშაყმაძე, განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელი ირინა ინარიძე, გაზეთ „ალიონის“რედაქტორი ნუგზარ ასათიანი, განათლების პროფკავშირების თავმჯდომარე როზა გოგუაძე, (მან ვეტერან პედაგოგებს საჩუქრები გადასცა); სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ლალი გიგინეიშვილი, ამერიკელი მოხალისე ბრაიზ აგია.

სკოლის დირექტორმა მაია თავართქილაძემ მუსიკოს ეკა ჭელიძესთან დუეტში სიმღერით მიულოცა უფროს კოლეგებს ეს დღე.

ეკამ მამასთან ჯემალ ჭელიძესთან ერთადაც იმღერა. არც ქორეოგრაფ ემზარ სანიკიძის აღსაზრდელებსაც შეურცხვენია თავი.

ღვაწლმოსილმა პედაგოგმა ნუნუ კუნჭულიამ მადლობა გადაუხადა საღამოს ორგანიზატორებს მათი ღვაწლის დაფასებისათვის.

კვალი ნათელი, რომელიც ნუნუ მემანიშვილმა დაგვიტოვა.

მარი კოძოევი

ქალბატონს, რომლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზეც დღეს უნდა მოგითხროთ, უდიდეს პატივს სცემდნენ ჩვენს ქვეყანაში. თუმცა, ერთი საგაზეთო წერილი ვერანაირად ვერ დაიტევს იმას, რაც ნუნუ მემანიშვილის შეოქმედებასთანაა დაკავშირებული.

ქალბატონი ნუნუ ლიხაურში დაიბადა. საქართველოს ამ ერთ ერთი ულამაზესი სოფლის მკვიდრთა გამორჩეული დამოკიდებულება ეროვნული ფოლკლორისადმი, მის სულში აისახა.

მკითხველს ვთხოვ, გაიხსენოს გასული საუკუნის 80-იანი წლები, გოგონათა მომხიბვლელი ანსამბლი „ნაკადული",რომელსაც ცნობილი ლოტბარი ეთერ პავლიაშვილი ხელმძღვანელობდა. იმთავითვე პოპულარობა დაებედათ ნიჭიერ გოგონებს. მათ გამოსვლას მაყურებელი ოვაციებით ხვდებოდა, მაგრამ მალე პატარების ანსამბლს პრობლემა შეექმნათ, ქლბატონი ეთერი მეულლესთან ერთად საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. მოიწყინეს პატარებმა, შეწუხდნენ მათი გულშემატკივრებიც და სწორედ ამ დროს პასუხისმგებლობა ნუნუ მემანიშვილმა იტვირთა, „ნაკადული" „წყაროდ" მოინათლა. ეკა ჭელიძემ, ნათია რამიშვილმა,ირმა გოგატაძემ, შორენა გოგოლაშვილმა და სხვებმა მეცადინეობები განაგრძეს. გაფართოვდა რეპერტუარი. ნუნუ მასწავლებელმა მათ უკრაინული და რუსული ხალხური სიმღერებიც შეასწავლა. კვლავინდებურად იყო წარმატებები, მაყურებელთა მხურვალე ტაში და გამარჯვება რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე.

სხვადასხვა წლებში ნუნუ მემანიშვილი, როგორც უნიჭიერესი ლოტბარი, წარმატებით მოღვაწეობდა ოზურგეთის სოფლებში. იყო დაბა ნარუჯის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი, ასევე მოღვაწეობდა ექადიის კულტურის სახლში. შემდგომ ოზურგეთის კულტურის სახლთან არსებული გუნდის წამყვანი სოლისტი იყო. აქვე 1990 წელს ჩამოაყალიბა სახალხო სიმღერების შემსწავლელი სკოლა.

მისი შემოქმედება საბედნიეროდ მარტოოდენ ოზურგეთით არ შემოიფარგლა. დღეს აჭარაში არავინ დაობს იმაზე, რომ ნუნუ მემანიშვილმა ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო აჭარაში ხალხური და კლასიკური სიმღერების პროპაგანდას. სხვადასხვა წლებში მოღვაწეობდა ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის რესპუბლიკურ სასახლეში, იყო ლოტბარი და ფოლკლორის წრის ხელმძღვანელი. მან ქართული შოუ ბიზნესის ერთ ერთ ცნობილ სახესთან მაია დათუნაშვილთან ერთად შექმნა „პასტი- ბუბუს სტუდია, სადაც ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა აღიზარდა. მათ შორის უკვე ცნობილი მუსიკოსები ძმები ნიკო და გიორგი ბერიძეები,რომლებიც დიდად აფასებენ მის ღვაწლს.

ნუნუ მემანიშვილი გეგმავდა ასერთივე სტუდიის დაარსებას ოზურგეთში. გადადგმული იყო პრაქტიკული ნაბიჯები მის განსახორციელებლად, მაგრამ საუბედუროდ, სწორედ ამ დროს საუკუნის სენმა ხელიდან გამოგვაცალა ეს უდაოდ ნიჭიერი და ღვაწლმოსილი ქალბატონი. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა 52 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან, მაგრამ დატოვა ნათელი კვალი, ის კვალი, რომელიც კიდევ ბევრჯერ გაგვახსენებს მას, რათა მოვიგონოთ და მადლობა ვუთხრათ მას, მის მიერ გაწეული ღვაწლის სანაცვლოდ.

გაგეთ „ალიონის“ რედაქცია ულოცავს გაგეთის პორეს-სპონდენტს თეონა ჩხარტიშვილს და საინფორმაციო სამსახურის მენეჯერს გია გოგოლაძეს გაჩენილის, გაბრიელის შეძენას და უსურვებს სამშობლოს სასახელო გაძი გაგრდოდეთ.

გულის ფიცარზე დახატული ბახმარო

24 ოქტომბერს ჩოხატაურის სამხატვრო სკოლაში გაიხსნა ახალგაზრდა მხატვრის, გურიის რეგიონის მხატვართა კავშირის წევრის თეიმურაზ ბერძენიშვილის პერსონალური გამოფენა.



„ბახმარო“

თეიმურაზ ბერძენიშვილი

დავიბადე 1974 წლის 8 ოქტომბერს ჩოხატაურში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე ვანის სამხატვრო სასწავლებელში. რომელიც დავამთავრე 1992 წელს.

2006 წლიდან ვმუშაობ ჩოხატაურის სამხატვრო სკოლაში პედაგოგად. მყავს მშობლები, მეუღლე და ერთი ქალიშვილი.

— ხართ პროფესიით —ინჟინერ-ტექნოლოგი, რომელი პროფესია მოგწონთ?

— ვსწავლობდი ოზურგეთის ბუნებათსარგებლობის სასწავლო ინსტიტუტში, ინჟინერ-ტექნოლოგ-მენეჯერის სპეციალობით. მაგრამ ამ პროფესიით არ მიმუშავია. ჩემი ერთადერთი პროფესია არის ხელოვნება.

— სპორტზე დადიხართ?

— სპორტს ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. 2000 წელს კიკბოქსინგში გამართულ საქალაქთაშორისო ტურნირში მიღებული მაქვს დიპლომები და სიგელები.

2002 წელს ქ. რუსთავში გამართულ მსოფლიო შესარჩევ ტურნირში კიოკუშინკაი კარატეში მეორე ადგილი დავიკავე.

X რესპუბლიკურ ტურნირში 2003 წელს კიკბოქსინგში — პირველი ადგილი.

ფერწერის დანიშნულება არის ფერით მეტყველება, რაც შესანიშნავად ესმის თემურს. ამიტომ მისი ფერთა გამაკოლორი თბილი, ნათელი და ამავე დროს ძალიან მომხიბვლელია.

გამოფენაზე თემურმა წარმოადგინა სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ზეთში შესრულებული აქვს ბახმაროს სერიები, პეიზაჟები, აგრეთვე აქვს დაზგური კომპოზიციები, ყოფითი ჟანრები, სადაც თემური გვიჩვენებს თავის დამოკიდებულებას გარემოსთან, საყურადღებოა არისტოკრატიულად ჩაცმული ახალგაზრდა ქალის პორტრეტი, სანდომიანი სახის გამომეტყველებით. ეს მისი მეუღლე ნატო ინწკირველია. კომპოზიცია „გურული ოჯახი“ გადაწყვეტილი აქვს მუქ მუყაოსფრო მოწითალო ოქროსფერ გამაში, ხელოვნური განათებით იგრძნობა ოჯახური სითბო. ნახატი სიმშვიდის გამომეტყველებას, მოწესრიგებულობას ქმნის.

მხატვარი იყენებს სხვადასხვა მასალას: თექას, კერამიკას, ეძებს ხერხებს სხვადასხვა მასალაში გადმოსცეს მხატვრული და სამეტყველო ენა და მოგვანიჭოს ესთეტიკური სიამოვნება. საინტერესოა თექაში შესრულებული „შემოდგომის პეიზაჟი“ და „ეკლესია“.

თემურის მრავალმხრივი გატაცება იმაშიც ჩანს,რომ ის კერამიკაში კარგად დაუფლებულია და მისი კერამიკული ვაზები, დეკორატიული ლარნაკები, საკმაოდ ოსტატურად არის შესრულებული.

ახალგაზრდა შემოქმედისაგან მომავალშიც მოველით დიდ წარმატებებს.

თამაზ დარჩია,

საქართველოს საერთაშორისო მხატვართა კავშირის გურიის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე

პირველი ლიგის სიახლეები - 17-ის ნაცვლად 20 გუნდი

გაირკვა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის 2011-2012 წლის სეზონზე მოასპარეზე გუნდების რაოდენობა და ვინაობა. გასული სეზონისაგან განსხვავებით, როდესაც გათამაშებაში სულ 17 გუნდი მონაწილეობდა, წელს პირველ ლიგაში 20 გუნდი იასპარეზებს.

"ა" ზონა

1. სამტრედია (სამტრედია)
2. დინამო (ბათუმი)
3. კოლხეთი (ხობი)
4. მეშახტე (ტყიბული)
5. ჩხერიმელა (ხარაგაული)
6. მერცხალი (ოზურგეთი)
7. ჭიათურა (ჭიათურა)
8. ლოკომოტივი (თბილისი)
9. მესხეთი (ახალციხე)
10. სტუ (თბილისი)

"ბ" ზონა

1. ჩიხურა (საჩხერე)
2. გურია (ლანჩხუთი)
3. იმერეთი (ხონი)
4. ნ. დინამო (თბილისი)
5. ადელი (ბათუმი)
6. სამგურალი (წყალტუბო)
7. სქური (წალენჯიხა)
8. ზოოვეტი (თბილისი)
9. სულორი (ვანი)
10. აიეტი (სოხუმი)

პირველ ეტაპზე აღნიშნული გუნდები ზონების შესაბამისად იასპარეზებენ.

სავარაუდოდ პირველი ლიგის კენჭისყრა მომავალი კვირის დასაწყისში სფფ-ში გაიმართება.

ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშება 23 აგვისტოს დაიწყება.

მადლობა

გულისხმიერებისა და თანადგომისათვის, გვინდა მადლობა გადავუხადოთ სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალს: ექიმ ქეთინო ცირეკიძეს, ექთან ნინო ბიბილეიშვილს, სასწრაფოს მძღოლს გია პერანიძეს, რომლებმაც უანგაროდ გაგვიწია დახმარება გარდაცვლილი მეზობლის (ის მარტო ცხოვრობდა) მოვლაში.

მეზობლების სახელით,
ანატოლი ქავთარაძე.

საჭიროა დაწესდეს მოხუცთა დღე

1990 წლის 14 დეკემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისგენერალურმა ასამბლეამ ყოველი წლის პირველი ოქტომბერი მოხუცთა საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. მათ ყველა ქვეყნის სამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანოებს მიმართეს, დაეხმარონ მოხუც და ხანშიშესულ ადამიანებს ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების, სოციალური უზრუნველყოფის და შრომითი პირობების გაუმჯობესების საქმეში. ამასთან ერთად გაერომ მოხუცთა საერთაშორისო წლებად გამოაცხადა 1999-2000 წლები და მოუწოდა სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს, რათა ყველა პიროვნება სიბერეში იყოს სოციალურად დაცული და ეკონომიკურად უზრუნველყოფილი.

ცნობილია, რომ მოხუცების კეთილდღეობა განისაზღვრება არა მარტო სოციალური და ეკონომიკური უზრუნველყოფით, არამედ მორალურ-ფსიქოლოგიური ასპექტითაც, რაც ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც არ ხდება მათი იზოლაცია საზოგადოებისაგან და თითონვე ხვდებიან, რომ ისინი საჭირონი არიან, როგორც ოჯახის,ასევე საზოგადოებისთვისაც.

ამ მხრივ, გარკვეული ღონისძიებები ხორციელდება ჩვენს ქვეყანაშიც. კერძოდ:

მიღებული იქნა შრომის, პენსიონერთა და ვეტერანთა საპენსიო კანონი, სადაც გადაწყვეტილია საპენსიო კანონი და შეღავათები;

დაწესდა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი;

ძალაში შევიდა რეპრესირებულთა შვილებზე საპენსიო განაკვეთი და შეღავათები;

ამოქმედდა საგზურების გაცემის კანონი, რაც შეიძლება ითქვას მთლიანად მივიწყებული იყო. დაინერგა რიგ პენსიონრებზე წამლების უფასოდ გადაცემა და სხვა.

მომავალი წლის სექტემბრიდან 67 წელს ზემოთ მყოფი პენსიონრებს გაეზრდებათ პენსია და მოხდება დაზღვევის და სხვა შეღავთების გატარება.

გამომდინარე აქედან მიგვაჩნია, დაწესდეს მოხუცთა დღე და მოხუცთა წახალისებაც.

აღდგეს 2000 წლის მაისში პენსიონერთა და ვეტერანთა პირველ ყრილობაზე დაფუძნებული „საქართველოს პენსიონერთა და ვეტერანთა პროფესიული კავშირი, “ რომლის საფუძველზე ყველა რაიონსა და სოფელში შექმნილი იყო რაიონული ორგანიზაციები.

ასე იყო ბაილეთშიც, და მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციები ჯერ კიდევ ახალი იყო, ჩვენ მაინც ვახერხებდით მათ მცირედი თანხით დახმარებას, (იხდიდნენ საწევროს 1 ლარს წელიწადში)

ერთი სიტყვით, პენსიონერები (მოხუცები) პატივსაცემი, შრომაში დაღლილი ადამიანებია და მათი კეთილდღეობისათვის ყველამ უნდა ვიზრუნოთ.

ამირან მამულაიშვილი
სწავლული აგრონომი, შრომის ვეტერანი.

„მერცხალმა“ უშუალო კონკურენტს 5 ქულით გაუსწრო

მე-14 ტურის მატჩი მეტად მნიშვნელოვანი იყო ოზურგეთის „მერცხალისათვის.“ გათამაშების ცხრილში II საფეხურზე მყოფი „მერცხალი“მის უშუალო კონკურენტს ჭიათურის „მაღაროელს“ ხვდებოდა. I წრეში განცდილი მარცხისთვის ოზურგეთლებს რევანშისთვისაც უნდა ეფიქრათ და გარდა ამისა, „ჭიათურა“კვალში უდგას „მერცხალს,“ გათამაშების ცხრილში III საფეხურზეა და სხვაობა მხოლოდ 2 ქულას შეადგენდა. „მერცხალმა“მეტად პრინციპულ შეხვედრაში შეძლო გოლის გატანა და 3 ქულა მოიპოვა. ახლა „მერცხალსა“და „ჭიათურას“ შორის სხვაობა 5 ქულას შეადგენს, მაგრამ იმერლებს ერთი გამოტოვებული მატჩი აქვთ მარაგში.

ოზურგეთის საფეხბურთო გუნდი დაარსებიდან 86 წელს ითვლის. გუნდის ერთგული გულშემატკივრებისათვის გასახარი იქნება, თუკი „მერცხალი“უმაღლეს ლიგას დაუბრუნდება. გურიის გუბერნატორი „მერცხალს“ თანადგომას პირდება. ახლა მთავარია „მერცხალის“ ფეხბურთელებმა მოუმატონ თამაშის ხარისხს, რათა ქულები არ დაკარგონ და სასურველ შედეგს მიაღწიონ.

ოზურგეთის საფეხბურთო გუნდი

გათამაშების ცხრილი

გუნდი	თ	მ	ფ	წ	ბურთების სხვაობა		ქ.
დინამო (ბთ)	14	11	2	1	24-7	17	35
მერცხალი	14	9	2	3	19-12	7	29
ჭიათურა	13	7	3	3	18-10	8	24
ჩხერიმელა	14	6	3	5	18-21	-3	21
ს.ტ.უ.	13	5	2	6	24-29	-5	17
ლოკომოტივი	12	4	3	5	20-18	2	15
მესხეთი	12	4	2	6	11-12	-1	14
კოლხეთი (ხ.)	14	3	4	7	11-16	-5	13
მეშახტე	13	2	3	8	12-19	-7	9
სამტრედია	13	1	4	8	10-23	-13	7

ოზურგეთელ მოჭიდავეთა წარმატება

11-13 ნოემბერს, ქალაქ ბათუმში ნოდარ ჭანუყვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობდნენ 1991-1998 წლებს შორის დაბადებული წამყვანი მოჭიდავეები საქართველოდან, თურქეთიდან, ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღზრდილებმა წარმატებული შედეგები აჩვენეს.

პირველ ადგილზე გამოვიდნენ: 42 კგ. წონით კატეგორიაში დათო ჩხარტიშვილი; 53 კგ. – გიორგი ბაკურაძე;

მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს: 26 კგ. – გიორგი თოხაძემ; 35 კგ. – გიორგი ჩხაიძემ; 27 კგ. – იური ლომაძემ; 53 კგ. – გიორგი გუჯაბიძემ; 53 კგ. – ლევან ქავჯარაძემ (ლიხაურის ფილიალი); 59 კგ. – ბორის ტუღუშმა (ლიხაურის ფილიალი);

გუნდი მოამზადეს ზურაბ და ირაკლი ზურაბიანებმა, ალექსანდრე ბოლქვაძემ, დავით მელუამ, ანზორ ლომაძემ, გია ბაქანიძემ და თენგიზ მუჯირმა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა იუწყება ომისა და შრომის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარის **რევაზ სალუქვაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

თანაკლასელები ნუგზარ ასათიანი, ზურაბ მუხაშავრია, ერემო კობალავა, თენგიზ ბერძენიშვილი, ავთანდილ კალანდარიშვილი თანაუგრძნობენ ჯუმბერ დარჩიას დედის **ანა დარჩიას** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი **ნუგზარ ასათიანი**
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზურნველყოფა გია გოგოლაძე